ხელშეკრულება №11/32

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი „6" ოქტომბერი 2016 წელი

საქართველოს კანონის ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ''გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით (CPV: 63100000.)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარე მალხაზ მირუაშვილის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, ფ.პ ნიკოლოზ ცალქალამანიძე სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომსახურეობის **მიწოდებას (საარჩევნო ბიულეტენების ჩამოტანა) მანქანის მარკა: Mercedes - Benz , სახელმწიფო ნომრით II928QQ,** შემდგომში **„მომსახურეობა'**, ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი **„მომსახურეობა"**, და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. **„საქონელის"** ღირებულება და აღწერილობა

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით ჩათვლით შეადგენს (მათ შორის დღგ) 200 (ორასი)ლარს.

2.2. ერთეულის ფასი და შესყიდვის ობიექტის აღწერილობა : ----- იხ.#1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **„საქონელის"** მიღება-ჩაბარება

3.1. **„მომსახურეობის"** ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული **„მომსახურეობის"**.

4. „**მომსახურეობის**" მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 „**მომსახურეობის**" მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან , კერძოდ 2016 წლის 6 ოქტომბერს.
4.2„**მომსახურეობის**" მიწოდების ადგილია:ქ. გორი, სამების ქ.#1

5.ხარისხი/ გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული „**მომსახურეობა**" იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.
5.2 მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება 1 წლიანი გარანტია.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში

6.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6.4 კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების

თაობაზე. ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონელის ღირებულების 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონელის მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. კონტროლს ახორციელებს N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. ხელის ძოძწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონელის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის წლის 6 ნოემბრამდე.

15.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16.1. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები.

„შემსყიდველი“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია N32 გორის საარჩევნო ოლქი	„მიმწოდებელი“ ფ.პ ნიკოლოზ ცალქალამანიძე
ქ. გორი, სამების №1 საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509 ტელ: (995 370) 27 70 94 სს,,ლიბერთი ბანკის“ გორის ფილიალი ანგ №GE14LB0125141330135030; ბანკის კოდი:LBRTGE22	ქ. გორი პ.ნ 59001119822 სს „საქართველოს ბანკი“ ა/ა №GE26BG0000000709391800 ბანკის კოდი: BAGAGE22
N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯომარე მალხაზ მირუაშვილი	დირექტორი: ნიკოლოზ ცალქალამანიძე

დანართი #1

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	თანხა ლარი
1	საარჩევნო ბიულეტენების ჩამოტანა	63100000		200	200
სულ:					200

„შემსყიდველი"
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
N32 გორის საარჩევნო ოლქი

ქ. გორი, სამების №1
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509
ტელ: (995 370) 27 70 94
სს„ლიბერთი ბანკის" გორის ფილიალი
ანგ. №GE14LB0125141330135030;
ბანკის კოდი:LBRTGE22

N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის
თავმჯომარე
მალხაზ მირუაშვილი

„მიმწოდებელი"
ფ.პ ნიკოლოზ ცალქალამანიძე

ქ. გორი
პ.ნ 59001119822

სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა №GE26BG0000000709391800
ბანკის კოდი: BAGAGE22

დირექტორი:

ნიკოლოზ ცალქალამანიძე

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ.გორი 7 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ #32 გორის საოლქო საარჩევნო კომისია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი თავმჯდომარის მალხაზ მირუაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფ.პ ნიკოლოზ ცალქალამანიძე (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვადასტურებთ აქტის სისწორეს მასზედ, რომ 2016 წლის 6 ოქტომბრის ხელშეკრულების # 11/32 თანახმად, „მიმწოდებელმა" მიაწოდა და „შემსყიდველმა" მიიღო სატრანსპორტო მომსახურეობა საარჩევნო ბიულეტინების ჩამოტანაზე, სულ ღირებულებით 200 (ორასი) ლარი.

დანართი #1

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	თანხა ლარი
1	საარჩევნო ბიულეტენების ჩამოტანა	63100000			200
სულ:					200

„შემსყიდველი"
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
N32 გორის საარჩევნო ოლქი

ქ. გორი, სამების №1
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509
ტელ: (995 370) 27 70 94
სს„ლიბერთი ბანკის" გორის ფილიალი
ანგ №GE14LB0125141330135030;
ბანკის კოდი:LBRTGE22

„მიმწოდებელი"
ფ.პ ნიკოლოზ ცალქალამანიძე

ქ. გორი
პ.ნ 59001119822

სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა №GE26BG0000000709391800
ბანკის კოდი: BAGAGE22

N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის
თავმჯომარე
მალხაზ მირუაშვილი

დირექტორი:

ნიკოლოზ ცალქალამანიძე